

შსს ფასს

ფინანსური ანგარიშგება

შპს სიფუდ გრუპ თელავი

ს/კ 431167364

31 დეკემბერი 2020 წელი

III კატეგორიის საწარმო

დირექტორი: ალექსი იობაშვილი



მთავარი ბუღალტერი: ირმა ორდენიძე



შინაარსი:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2. საქმიანობის შედეგები

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია
2. ფუნქციონირებადი საწარმო
3. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები
4. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა
5. უცხოური ვალუტა
6. ძირითადი საშუალებები
7. აქტივების გაუფასურება
8. სასაქონლო მატერიალური მარაგები
9. იჯარა
10. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები
11. დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)
12. ბანკის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
14. გადახდილი და მიღებული ავანსები
15. ფული და ფულის ეკვივალენტი
16. შემოსავლის აღიარება
17. მოგების გადასახადი
18. საკუთარი კაპიტალი
19. ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოცემის შემდეგ



დირექტორი: ალექსი იობაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ირინა ორდენიძე

შპს სიფუდ გრუპ თელავი
 ფინანსური უწყისი 2020 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები წარმოდგენილია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)	შენიშვნა	31-Dec-20	31-Dec-19
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		431 634	444 130
არამატერიალური აქტივები		2 340	2 740
საინვესტიციო ქონება		-	-
ინვესტიციები ასოციაციებში		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		433 974	446 870
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		1 317 350	694 935
ავანსად გადახდილი გადასახადები		-	-
გადახდილი ავანსები		281 565	671 775
სავაჭრო მოთხოვნები		247 176	147 914
ფული და ფულის ექვივალენტები		42 469	14 490
სულ მიმდინარე აქტივები		1 888 560	1 529 114
სულ აქტივები		2 322 534	1 975 984
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		388 000	458 000
გადაფასების რეზერვი		-	-
აკუმულირებული მოგება/ (ზარალი)		1 324 520	931 826
სულ საკუთარი კაპიტალი		1 712 520	1 389 826
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		168 873	3 187
ვალდებულებები პერსონალის მიმართ		-	-
მიღებული ავანსები		-	228 502
მოკლევადიანი სესხები		-	300 000
გრძელვადიანი სესხი ლარის ექვივალენტში		400 058	-
საიჯარო ვალდებულებები		11 353	-
გადასახადები		29 730	54 469
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		610 014	586 158
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2 322 534	1 975 984

ალექსი იოზაშვილი
 დირექტორი

ირინა ორდენიძე
 მთავარი ბუღალტერი



(Handwritten signatures)

შპს სიფუდ გრუპ თელავი

ფინანსური უწყისი 2020 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება (მოგება/ზარალი)	შენიშვნა	2020 წელი	2019 წელი
შემოსავალი რელიზაციიდან		11 792 657	10 034 694
დღგ-ს ჩათვლის უფლებისაგან გათავისუფლებული შემოსავალი		190 207	691 497
სხვა შემოსავალი			
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(10 907 801)	(9 857 097)
საერთო მოგება		1 075 063	869 094
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები			
სახელფასო ხარჯები		(358 158)	(396 655)
აუდიტის ხარჯი		(4 000)	(16 833)
გადასახადები (საპენსიო+ქონება)		(8 154)	(8 483)
ბანკის და მომსახურების საკომისიო ხარჯები		(4 622)	(2 721)
კომუნიკაციის ხარჯები		(4 339)	(4 038)
რემონტის ხარჯი		(24 622)	(31 891)
საიჯარო ხარჯი		(67 501)	(51 983)
კომუნალური ხარჯები		(35 233)	(36 021)
სამივლინებო ხარჯი		(2 655)	(6 085)
საწვავი		(47 428)	(60 118)
ტრანსპორტირების ხარჯი		(14 148)	(14 746)
უიმედო ვალები		-	(31 949)
საკონსულტაციო ხარჯი		(1 000)	-
სიცოცხლის დაზღვევა		(201)	-
გაფუჭებული საქონლის ჩამოწერა		(34 942)	(2 377)
სამეურნეო ხარჯი		(5 207)	-
ცვეთა, ამორტიზაცია		(37 821)	(35 851)
სხვა ხარჯები		(6 589)	(7 026)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(656 620)	(706 777)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		418 443	162 317
ფინანსური შემოსავალი		49 712	10 904
საპროცენტო ხარჯები		(34 584)	(35 897)
ძირითადი საშუალების რელიზაციიდან		-	(242)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		-	-
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალების რელიზაციიდან		-	-
მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან (საღირებულები)		(39 691)	9 209
ჯარიმა და საურავი		(1 187)	-
მოგება/ზარალი მოგების გადასახადამდე		392 693	146 291
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება (ზარალი)		392 693	146 291
მოგება ძირითადი საშუალებების გადაფასებისგან		-	-
პერიოდის სრული შემოსავლები		392 693	146 291

ალექსი იოზაშვილი
დირექტორი

ირინა ორდენიძე
მთავარი ბუღალტერი



(Handwritten signatures)



შპს „სიფუდ გრუპ თელავი“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „სიფუდ გრუპ თელავი“ დაარსდა 2012 წლის 25 იანვარს, ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა განსაზღვრულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების შემდეგი კლასიფიკატორით:

- 46.32.0 საბითუმო ვაჭრობა ხორციტ და ხორცის პროდუქტებით;
- 46.33.0 საბითუმო ვაჭრობა რძის პროდუქტებით, კვერცხით და საკვები ზეთებით და ცხიმებით;
- 46.38.1 საბითუმო ვაჭრობა თევზით, კობოსნაირებით და მოლუსკებით.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დამფუძნებელი, დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი არის ალექსი იობაშვილი.

ორგანიზაციის იურიდიული და ფაქტიური მისამართია : საქართველო, ქ.თელავი, სოფ.კისისხევი.

2. ფუნქციონირებადი საწარმო

ორგანიზაციის ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას, საწარმოს ხელმძღვანელი ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს, ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, თორმეტ თვეს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

3. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანიის ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ :

- მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებული იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესაღარიის ინფორმაციის წარმოდგენით;
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპებზე დაყრდნობით;
- ორგანიზაციის მიერ საანგარიშგებო პერიოდში მიჩნეულია კალენდარული წელი, რომელიც მოიცავს პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

დირექტორი: ალექსი იობაშვილი



მთავარი ბუღალტერი: ირინა ორდენიძე

4. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა. რადგან, იგი, ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში, მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარის ვალუტაში, რის საფუძველზეც ყველა ფინანსური მონაცემი დაფიქსირებულია ლარებში და დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

5. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს და ერთი ევროსთვის 4.0233 ლარს.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო დღის კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომელიც ლარში გადაყვანილია, მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება, ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სავარაოდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემულია აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები:

- შენობა ნაგებობები-30 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები 8-15 წელი;
- მანქანა დანადგარები 7-18 წელი;
- კომპიუტერები და ელექტრონული ტექნიკა 2- 12 წელი;
- ავეჯი და ინვენტარი 3-15 წელი.



დირექტორი: ალექსი იობაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ირინა ორდენიძე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის
შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მიწა და შენობა	მანქანა - დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 01.01.2020	254 415	184 193	25 981	128 951	593 540
შემოსვლა	5 992	16 586	2 347	-	24 925
გასვლა	-	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2020	260 407	200 779	28 329	128 951	618 465
დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 01.01.2020	(15 150)	(61 581)	(11 380)	(61 299)	(149 410)
ცვეთა წლის განმავლობაში	(7 016)	(15 131)	(2 847)	(12 427)	(37 421)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	(22 166)	(76 712)	(14 226)	(73 726)	(186 831)
ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2020	239 264	122 611	14 602	67 652	444 130
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2020	238 240	124 066	14 103	55 225	431 634

დირექტორი: ალექსი იობაშვილი




მთავარი ბუღალტერი: ირინა ორდენიძე



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

არამატერიალური აქტივები		
		ჯამი:
ნაშთი 01.01.2020	4 797	4 797
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
ნაშთი 31.12.2020	4 797	4 797
დაგროვილი ცვეთა		
დაგროვილი ცვეთა 01.01.2020	(2 057)	(2 057)
ცვეთა წლის განმავლობაში	(400)	(400)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	(2 457)	(2 457)
ნეტო საბალანსო ღირებულება		
ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2020	2 740	2 740
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2020	2 340	2 340

არამატერიალური აქტივები

ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული არამატერიალური აქტივები ძირითადად წარმოდგენილია კომპიუტერული პროგრამების უზრუნველყოფის სახით, რომლების აისახება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სავარაოდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით;

- არამატერიალური აქტივები- კომპიუტერული პროგრამები 5-12 წელი.


ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა მენეჯმენტის მსჯელობის საგანს წარმოადგენს, შესაბამისი გამოცდილების გათვალისწინების შედეგად. აქტივის სასარგებლო ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადას, ტექნიკურ მახასიათებლებს, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ზემოაღნიშნული პირობების ნებისმიერმა ცვლილებამ შესაძლებელია მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება გამოიწვიოს.

დირექტორი: ალექსი იობაშვილი




მთავარი ბუღალტერი: ირინა ორდენიძე



7. აქტივების გაუფასურება

აქტივების გაუფასურების აღრიცხვა ხდება შემდეგნაირად, ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რომ დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი ბალანსზე არსებული აქტივების შესაძლო გაუფასურებისა. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდაროთ მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად ხდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება შეფასება თითოეული ერთეულის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება, რომელიც მოიცავს შემდეგს, საბალანსო ღირებულების შედარება ხდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასს შორის. თუ სასაქონლო-მატერიალური მარაგების ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემთხვევაში-პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრება იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივების (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში და ზარალში.

8. სასაქონლო მატერიალური მარაგები


მარაგები ისეთი აქტივია. რომელიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით. ელემენტები, რომელიც მიეკუთვნება მანქანა-დანადგარების სარემონტო და სათადარიგო ნაწილებს, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასების გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო-მეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენა-აღიარებასთან, გადამუშავება, საბაჟო თუ საიმპორტო გადასახადების გადახდა, და საბოლოოდ იმ მდგომარეობამდე მიყვანა, როგორშიც ის იმყოფება მზად გასაყიდი საქონლის სახით.

დირექტორი: ალექსი იობაშვილი




მთავარი ბუღალტერი: ირინა ორდენიძე



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ორგანიზაციის ძირითად სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს წარმოადგენს შემდეგი დასახელების საქონელი გაყიდვით (სამაცივრე) პროფუქციის სახით:

- ქათმის ასორტი;
- თევზის ასორტი;
- კარაქების და სპრედების ასორტი;
- ხორცის ასორტი;
- ნახევარფაბრიკატები;
- სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები

31 დეკემბერი 2020

1 იანვარი 2020

საქონელი

1 317 350

694 935

ნედლეული და მასალები

მზა პროდუქცია

სარემონტო მასალები

სხვა მარაგები

1 317 350

694 935

9. იჯარა

იჯარა, ფინანსური იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული და მიღებული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახადები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ორგანიზაციის ძირითადი საიჯარო ხარჯი ფიქსირებულია ჩვეულებრივი იჯარის სახით.


10. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას და გადახდას საბანკო და ნაღდი ანგარიშსწორების სახით იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიის ვალდებულების შესაბამისად იხდის და ადეკლარირებს საპენსიო გადასახადს დაქირავებული პირების მიერ. ხოლო სხვა საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტაქტური ვალდებულება დაქირავებული პირების მიერ არ გააჩნია, გარდა იმისა, რაც შრომითი კოდექსითა და ანგარიშსწორების განსაზღვრული.

დირექტორი: ალექსი იობაშვილი




მთავარი ბუღალტერი: ირინა ორდენიძე



11. დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში, მათ შორის იმპორტის დღგ-ს გადასახადი, რომელსაც კომპანია კეთილსინდისიერად უძღვება დაკისრებული ვადების გათვალისწინებით.

კომპანიას ახორციელებს დღგ-ს ჩათვლას, შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით, რომლის საფიქველზეც გადასახდელი და შესამცირებელი დღგ-ს თანხა ფიქსირდება აღრიცხვა-ანგარიშგების ბარათში.

12. ბანკის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები

კომპანიის არსებობის ისტორიაში გამოყენებულია, როგორც მოკლევადიანი ასევე გრძელვადიანი სესხი. წარსადგენ საოპერაციო წელში, აღნიშნულია როგორც მოკლევადიანი სესხის გადახდა, რომელიც ბანკიდან აღებული იყო ეროვნული ვალუტაში, ასევე კომპანიის მიერ გამოყენებულია გრძელვადიანი სესხი უცხოური ვალუტის სახით, რომელის წლის ბოლო დღის ეროვნული კურსით აღიარდება ისტორიული ღირებულებით.

მიღებული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სესხის გამცემი:	31.დეკ.20	01.დეკ.20
ბანკი	400 058	300 000
ჯამი:	400 058	300 000

მიღებული სესხების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნაწილის გამიჯვნა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.დეკ.20	01.იან.20
მოკლევადიანი		
გადახდილი ძირის თანხა	-	300 000
გადახდილი პროცენტი	26 104	35 897
გრძელვადიანი		

დირექტორი: ალექსი იობაშვილი




მთავარი ბუღალტერი: ირინა ორდენიძე



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აღებული სესხი ლარის ეკვივალენტით	400 058	-
დარიცხული და გადახდილი პროცენტი	8 480	-
	-	-

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ფასდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება გაანალიზება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი, ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ბალანსში ასახული მთლიანი მოთხოვნის თანხა წარმოდგენილია მომხმარებლის მიერ საქონლის შეძენის შედეგად, ყველა მოთხოვნა მოკლევადიანია და დენომირირებულია ლარში. ამ ეტაპზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მოთხოვნები სრულად ამოღებულია და არ არის საჭირო საექვო ვალების რეზერვის შექმნა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
	31.დეკ.20	1-ლი იანვარი 2020
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო მოთხოვნები	247 176	147 914
არაფინანსური მოთხოვნები	281 565	
გადახდილი ავანსები	-	657 272
ჯამი	528 741	805 186


14. გადახდილი და მიღებული ავანსები

გადახდილი და მიღებული ავანსები აღიარდება გადახდილი/ მიღებული თანხის ოდენობით გადახდის/მიღების მომენტში, ავანსების გადახდა/მიღება სავალუტო კურსის მიხედვით და რჩება შეფასებული ისტორიული ღირებულებით.

დირექტორი: ალექსი იობაშვილი




მთავარი ბუღალტერი: ირინა ორდენიძე



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ორგანიზაციის ეკონომიკური საქმიანობისას გადახდილი ავანსები მოიცავს ძირითადად სასაქონლო-მატერიალური მარაგების მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს, რომელიც შეთანხმების საფუძველზე ექვემდებარება საქონლის მიწოდებამდე გადახდას. გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მისაღები სასაქონლო-მატერიალური მარაგების პერიოდი არის მაქსიმუმ 12 კალენდარული თვე.

15. ფული და ფულის ეკვივალენტი

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე მოიცავს ნაღდ ფულს საღაროში, ფულს საბანკო ანგარიშზე და ფულს გზაში.

	31.დეკ.20	1-ლი იანვარი 2020
ფული საღაროში	419	626
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, ლარში	42 049	13 864
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში	-	-
ჯამი:	42 469	14 490

16. შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან (შემოსავალი რეალიზაციიდან და დღგ-ს ჩათვლის უფლებიდან გათავისუფლებული შემოსავალი), ამიტომ ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა, შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გარეშე, შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

17. მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება /(ჩათვლა) დასაბეგრ წლიურ შემოსავალზე, ანგარიშგების თარიღისათვის ან მანამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით და გასული წლის საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორექტირებით.

2017 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც დაკავშირებულია მოგების გადასახადის ახალ მოდელთან.

ახალი მოდელის („მოგების გადასახადის ესტონური მოდელი“) მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით., ხოლო 15% -ით დაიბეგრება დივიდენდის განაწილებული მოგება, მაშინ როდესაც ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდათ, თუ დარჩებოდა კომპანიაში, როგორც გაუნაწილებელი მოგება. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება, ასევე მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები, რომელიც განიხილება მოგების განაწილებად, მაგალითად, საჩუქარი,

დირექტორი: ალექსი იობაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ირინა ორდენიძე



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

უსაბუთო ხარჯი და სხვა, ასევე გადახდები, რომელიც კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის.

18. საკუთარი კაპიტალი

- საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია მფლობელის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე;
- საწესდებო კაპიტალი სრულად შევსებულია ფულადი სახით;
- დაგროვილი მოგება შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას (ან აკუმულირებულ ზარალს).
- დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც იგი გამოცხადდა და დამტკიცდა.

19. ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერ ცვლილებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით

დირექტორი : ალექსი იობაშვილი



მთავარი ბუღალტერი : ირინა ორდენიძე



დირექტორი: ალექსი იობაშვილი



მთავარი ბუღალტერი: ირინა ორდენიძე

